პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 112 (5142)

1974 წ. 8 ივნისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან


ო. ზურაბიანი


ზ. კეთილაძე


ა. წიკლაური


რ. ხარშილაძე


ა. მუზაევი


რ. დვალი

## ფართოვდება ძიუდოს გეოგრაფია

ძიუდოისტთა რესპუბლიკურმა პირადმა პირველობამ, რომელიც თბილისის ფალავანთა კლუბში ჩატარდა, მონაწილეთა დიდ რაოდენობას მოუყარა თავი. სარბიელზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, გორის, თელავის, ყვარლისა და დუშეთის 150-ზე მეტი ათლეტი. გამოცდილ ოსტატებს შეუპოვრად ებრძოდნენ ახალგაზრდები. ამ ჯანსაღმა მეტოქეობამ ერთიორად გაზარდა შეჯიბრებისადმი ინტერესი.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ სოხუმელი თ. არქანია, ბათუმელი თ. ზეინაშვილი, ქუთაისელი ვ. მერკვილაძე, თელაველი თ. წითელაური, თბილისელები რ. ხარშილაძე, ა. მუზაევი, ა. წიკლაური, გ. შავგაშვილი, თ. ნოსელიძე, რომლებიც კარგი ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ დუშელი ვ. მთიულიშვილი, რომელმაც ქვემძიმე წონაში II ადგილი დაიმსახურა, მერე კი აბსოლუტურ პირველობაში სცადა ძალა და იქაც საპრიზო ადგილზე გავიდა.

ამ საინტერესო ტურნირმა ერთხელ კიდევ გამოავლინა რესპუბლიკის ძიუდოისტთა მზარდი ოსტატობა და დაგვარწმუნა, რომ ძიუდოს გეოგრაფია საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება.

სამწუხაროდ, ჩემპიონატი ჩვეულებრივ საჭიდაო ხალიჩაზე ჩატარდა, ძიუდოისტები კი, მოგეხსენებათ, ტატამზე ასპარეზობენ. ეს რატომ მოხდა, გაუგებარია. კრიტიკული შენიშვნა უნდა გამოვთქვათ იმ მსაჯთა მიმართაც, რომლებიც ეკამათებოდნენ მონაწილეებს და ამით თავიანთს ღირსებას დაბლა სცემდნენ.

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

მსუბუქი წონა. 1. ო. ზურაბიანი, 2. თ. ნოსელიძე, 3. ა. ობგაიძე და მ. კენჭაძე (ყველა — თბილისი).

ქვესაშუალო. 1. ზ. კეთილაძე (თბილისი), 2. თ. არქანია (სოხუმი), 3. ს. ჯინორიძე და ზ. ფიცხელაური (ორივე — თბილისი).

საშუალო. 1. ა. წიკლაური, 2. გ. ბროძელი, 3. დ. ბლიაძე (ყველა — თბილისი) და თ. ზეინაშვილი (ბათუმი).

ქვემძიმე. 1. რ. ხარშილაძე (თბილისი), 2. ვ. მთიულიშვილი (დუშეთი), 3. ვ. ძეგლიგაშვილი და რ. ჭიკაიძე (ორივე — თბილისი).

მძიმე. 1. ა. მუზაევი (თბილისი), 2. ვ. მერკვილაძე (ქუთაისი), 3. ი. ჩიმჩიური და გ. კორძახია (ორივე — თბილისი).

აბსოლუტური. 1. რ. დვალი, 2. ო. მაშვიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ვ. მთიულიშვილი და თ. წითელაური (თელავი).

## ოლიმპიადა გაიხსნა

XXIe JEUX OLYMPIQUES ECHIQUEENS · NICE 1974

გუშინწინ ნიცაში საზეიმოდ გაიხსნა XXI საჭადრაკო ოლიმპიადა. მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე რ. ბერტოლო. სიტყვა წარმოთქვა ფიდე-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა მ. ეივემაც.

ოლიმპიადაში ჩაბმული არიან ფიდე-ს წევრი 79 ქვეყნის გუნდები (სულ ამ ორგანიზაციაში 86 სახელმწიფოა გაერთიანებული). 476 მონაწილეს შორის 60-ზე მეტი საერთაშორისო დიდოსტატია.

ორგანიზატორთა წინაშე ძნელი ამოცანაა დასახული: 22 დღეში 24 ტურის ჩატარება. გუშინ დაიწყო თამაში რვა ჯგუფში, სადაც ზოგჯერ დღეში ორი ტური გაიმართება. ივნისის ბოლოს გამოვლინდება ოლიმპიადის მთავარი პრიზის — ჰამილტონ-რასელის თასის მფლობელი.

მოჭადრაკეებს მძიმე ბრძოლა მოელით: ყოველდღე ცხრასაათიანი თამაში მოუწევთ: ხუთ საათს პარტია გასტანს, ოთხი — გადადებული პარტიის დამთავრებას დასჭირდება.

თასის მთავარ პრეტენდენტებად სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის და აშშ-ს გუნდები ითვლებიან.

მართლაც, საბჭოთა გუნდი ყველაზე სახელოვანია. საკმარისია ითქვას, რომ ამ გუნდში თამაშობენ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი ა. კარპოვი და ვ. კორჩნოი, აგრეთვე, მსოფლიოს სამი ექს-ჩემპიონი: ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი.

მხოლოდ დიდოსტატებისგან შედგება იუგოსლაველთა გუნდი. ესენი არიან: ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ა. პლანინცი, დ. ველიმიროვიჩი, ბ. პარმა და ლ. ლიუბოევიჩი.

ძლიერია ამერიკელთა კოლექტივიც, მაგრამ ამ გუნდში მსოფლიო ჩემპიონი რ. ფიშერი არ თამაშობს. როგორც ცნობილი გახდა, ოლიმპიადის დღეებში მას სასამართლოში აქვს საქმე: თავისი ადვოკატი პ. მარშალი უჩივის. ამ ადვოკატს დავალებული ჰქონდა „მსოფლიო ჩემპიონის ღირსების“ დაცვა „ჩესტერ ფოქს ენდ კომპანისთან“ მის სასამართლო პროცესში. ეს უკანასკნელი ფიშერს ადანაშაულებდა ტელეგადაცემებისა და რეიკიავიკში მსოფლიო პირველობაზე გამართულ მატჩზე კინოფილმის გადაღების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ცალმხრივ გაუქმებაში, რის გამოც კომპანიამ მატერიალური ზარალი განიცადა.

მარშალმა სასამართლოს სთხოვა, მსოფლიო ჩემპიონის დაცვისგან გამათავისუფლეთო. მან განაცხადა, ასეთ დაუყოლიებელ, უკარება და უპატივცემულო კლიენტს ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარო. მარშალმა მოითხოვა, რომ ფიშერმა აუნაზღაუროს ზარალი 2157 დოლარისა და 96 ცენტის ოდენობით. ამერიკელი ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ ადვოკატმა აჯობოს ფიშერს ფინალურ საკითხში. როცა საქმე ფულს შეეხება, ფიშერი ფაქტიურად დაუმარცხებელიაო, ამბობენ ისინი.

იუგოსლავიური გაზეთი „სპორტი“ იტყობინება, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს ფიშერმა, ცალკე შენობაში თამაშის ნებართვის გარდა, 150 ათასი დოლარი ჰონორარი მოსთხოვა. კარგი შადა ჰქონიაო, ამბობენ ფრანგები. როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონი კვლავ თავს არიდებს ჭადრაკის თამაშს.

ოლიმპიადა უფიშეროდაც საინტერესოა. დიდი ყურადღებით არის გარემოსილი არგენტინელი დიდოსტატი, 14 ოლიმპიადის მონაწილე მ. ნაიდორფი, აგრეთვე, ამერიკელი დიდოსტატი ს. რეშევსკი, რომელსაც 13 ოლიმპიადაში უთამაშია.

• • •

ნიცა, 7 ივნისი. საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარმა არბიტრმა, საბჭოთა დიდოსტატმა ა. კოტოვმა გამოაცხადა 8 ჯგუფის შემადგენლობები ნახევარფინალური შეჯიბრებისთვის. ამ ჯგუფებიდან თითოეულს მეთაურობენ უძლიერესი გუნდები — სსრ კავშირის, აშშ-ს, იუგოსლავიის, უნგრეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, არგენტინის კოლექტივები.

პირველ ჯგუფში გამოდიან (კენჭისყრით) პოლონეთის, ბრაზილიის, მონგოლეთის, უელსის, სსრ კავშირის, შოტლანდიის, ანტილის კუნძულების, იორდანიის და პუერტო-რიკოს გუნდები.

თექვსმეტი გუნდი (ორ-ორი ნახევარფინალური ჯგუფებიდან) 16 ივნისს ფინალურ შეჯიბრებებს გამართავს (წრიული სისტემით).

I ტურში სსრ კავშირის გუნდი შოტლანდიის ნაკრებს ხვდება.

## ალექსეევის ორი რეკორდი

ბიბლიოთეკა

იტალიის ქალაქ ვერონაში გუშინწინ დამთავრდა ევროპის ძალოსანთა 33-ე ჩემპიონატი.

ევროპის მასშტაბის შეჯიბრების დებიუტანტმა, მძიმე წონის როვნოელმა ათლეტმა ვ. უსტიუჟინმა დაძაბული ბრძოლა გადაიტანა 18 წლის ბულგარელ ვ. ხრისტოვთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნიჭიერი ბულგარელი სპორტსმენი საბჭოთა ათლეტს ორჭიდის ჯამში მხოლოდ 2,5 კილოგრამით ჩამორჩა. მისი შედეგი — 387,5 კილოგრამი მსოფლიო რეკორდია იუნიორთა შორის.

პირველი მოძრაობის — ატაცის შემდეგ უსტიუჟინი ხრისტოვთან 5 კილოგრამს აგებდა. ბულგარელთან ბრძოლა რომ მოეგო, უსტიუჟინს თავისივე მსოფლიო რეკორდი უნდა გაეუმჯობესებინა აკვრაში. იგი ასეც მოიქცა — 227,5 კგ დაძლია და 3,5 კილოგრამით დაამძიმა თავისივე რეკორდი. ორჭიდში უსტიუჟინის შედეგია 390 კგ. II ადგილზე გავიდა ხრისტოვი, ხოლო III — გდრ-ის ათლეტი ი. ციცკე — 370.

ზემძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობის წინ გუნდურ ჩათვლაში ბულგარელებს 87 ქულა დაუგროვდათ. საბჭოთა ძალოსნები მათ 5 ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ბულგარელებმა ცხრავე ძალოსანი გამოიყვანეს, ხოლო საბჭოთა გუნდის წევრებიდან ფიცარნაგზე არ გამოსულა ვ. ალექსეევი.

შეჯიბრების ბოლო დღეს კი შესანიშნავმა საბჭოთა ძალოსანმა ალექსეევმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა და ორი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ატაცში მან 187,5 კგ აჩვენა, რაც მეორე საბჭოთა ძალოსნის ლ. ჟაბოტინსკის წინანდელ რეკორდზე უკეთესია. ორჭიდში 422,5 კილოგრამის დაგროვებით ალექსეევმა თავისივე მსოფლიო რეკორდი 2,5 კილოგრამით დაამძიმა (აკვრა — 235). ახლა მას ეკუთვნის სამივე მსოფლიო რეკორდი ზემძიმე წონაში.

II ადგილზე გასული გ. ბონკი (გდრ) ალექსეევს 20 კილოგრამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ბელგიელმა ს. რედინგმა — 400 კგ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც 94 ქულა დააგროვეს (ახალი ჩათვლით გამარჯვებულს 12 ქულა ეძლევა, მეორე ადგილისთვის 9 ქულაა დაწესებული, მესამისთვის — 8 და ა. შ.). ბულგარელებმა 87 ქულა დააგროვეს.

საბჭოთა ათლეტების ანგარიშზეა ხუთი პირველი, ორი მეორე და ამდენივე მესამე ადგილი. ბულგარელებს შესაბამისად სამი I, სამი II და სამი III ადგილი ხვდათ.

გუნდურ III ადგილზე გავიდნენ გდრ-ის ძალოსნები.

## კოზლოვსკაია — ლევიტინა 3:2

კისლოვოდსკი, 6 ივნისი. აქ გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური მატჩის V პარტია. თეთრებით კოზლოვსკაია თამაშობდა.

დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა პიატიგორსკელმა მოჭადრაკემ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:2 კოზლოვსკაიას სასარგებლოდ. დარჩენილ ხუთ პარტიაში მას მატჩის მოსაგებად 2,5 ქულაღა სჭირდება.

## ახალი ამბები-74

● ილონი (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი), 4 ივნისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ გამართული მატჩით დაამთავრა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჯერად მან ამერიკის კოლეჯების სტუდენტთა ნაკრებს სძლია — 114:41 (53:18). გამარჯვებულ გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინეს ოვეჩკინამ (17) და კურვიაკოვამ (16). ამრიგად, სტუმრებმა შვიდივე მატჩი მოიგეს, მათ შორის ხუთი — მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან. საბჭოთა კალათბურთელებს ყველგან უაღრესად გულთბილად ხვდებოდნენ.

● ნინდორფი (გფრ), 6 ივნისი. ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ლიუბეკის ყურეში გაიმართა ევროპის აფროსანთა ჩემპიონატი „ფინის“ კლასში. გაიმარჯვა 25 წლის შვედმა სპორტსმენმა გ. ლილიეგრენმა, რომელსაც ყველა რბოლის ჯამში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა (41) დაუგროვდა და ბევრად გაუსწრო მეტოქეებს. საბჭოთა აფროსანთაგან საუკეთესომ — ა. ბალაშოვმა VI ადგილი დაიკავა (81,7 საჯარიმო ქულა).

● ჰელსინკი, 6 ივნისი. ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოასპარეზე ფინელმა ათლეტმა, 25 წლის ჰ. სიიტონენმა 87,50 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე. მეორე ფინელმა მტყორცნელმა ჰ. კაჰმამ ბადროს ოსტატთა შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი — 64,26 მ. პ. პიაიივარანტამ (ფინეთი) ყველას აჯობა 5 კილომეტრზე რბენაში — 13.47,8. ფინიშთან ბოლო, მეცამეტე იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გამარჯვებულის თანამემამულე ლ. ვირენი.

● ერფურტი, 6 ივნისი. სპრინტში მსოფლიო რეკორდსმენმა, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა რ. შტეჰერმა გაიმარჯვა 100 მეტრზე რბენაში — 11,2. გდრ-ის მძლეოსანთა შეჯიბრებაში იგი 200 მეტრზეც საუკეთესო იყო, მაგრამ პირველობა დ. მალეცკისთან გაიყო. ორივეს ერთნაირი დრო აქვს — 22,8. გ. ჰოფმაისტერმა 800 მეტრზე რბენაში 2.00,9 აჩვენა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე.

● პოტსდამი, 6 ივნისი. ი. ცენკამ (გდრ) 200 მ 20,6 წამში გაირბინა, რაც წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

● იენა, 6 ივნისი. გაბრიელე ჰინცმანმა 62,68 მეტრზე ტყორცნა ბადრო. რ. ბაილშმიდტმა 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. რ. ტაიმერმა 72,84 მეტრზე ტყორცნა ურო.

● ნოიჰაუზენი, 6 ივნისი. გფრ-ის ამ ქალაქში მძლეოსნური ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოასპარეზე უნგრელმა ილონა ბრუზენიაკმა ეროვნული რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 654 სმ (საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში).

● სტოკჰოლმი, 6 ივნისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კენიელმა მ. ბოიტმა 800 მ 1 წუთსა და 46,6 წამში გაირბინა, ხოლო შვედმა რ. ბრუხმა 65,96 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

● უიჩიტა (აშშ), 6 ივნისი. ა. ფოიერბახმა 21,60 მეტრზე ჰკრა ბირთვი (საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში), ხოლო ჯ. ვუდსმა — 21.42 მეტრზე. კეტი შმიდტმა 60,38 მეტრზე ტყორცნა შუბი, ხოლო მარენ ზაიდლერმა აშშ-ს რეკორდი დაამყარა, როცა ბირთვი 17,24 მეტრზე ჰკრა. ჯ. კერიგენი საუკეთესო იყო ჭოკით ხტომაში — 533 სმ.

## მშენებლობაში მთამსვლელებიც მონაწილეობენ

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო შეხვედრა „ბურევესტნიკის“ მთამსვლელთა რაზმთან, რომელიც სპეციალური სამუშაოების შესასრულებლად მიემგზავრება ტოქტოგულისა და კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურების კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობებზე. ჯგუფში შედის 60 მთამსვლელი, რომელთა შორის არიან სპორტის ოსტატები, ქვეყნის ჩემპიონები ალპინიზმსა და მეკლდეურობაში, რაზმს ევალება კლდოვანი ფერდობების გამაგრება. იგი მონაწილეობას მიიღებს ტოქტოგულის ჰიდროელექტროსადგურიდან ანდიჟანში, 3200 მეტრზე მაღლა მდებარე მთიანი უღელტეხილების გავლით ელექტროგადაცემათა ხაზი-500-ის გაყვანაში. სპორტსმენები მუშაობას შეუთავსებენ მშდ კომპლექსის, მთამსვლელობისა და მეკლდეურობის პროპაგანდას ახალგაზრდა მშენებლებს შორის, ახვლებში მონაწილეობას.

როგორც თათბირზე აღინიშნა, რაზმის გამოცდილება შემდეგში გამოყენებული იქნება სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს სამთო მშენებლობებზე, აგრეთვე, ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე. (საქინფორმი).



ს უ რ ა თ ზ ე: აფხაზეთისა და რუსთავის კალათბურთელ გოგონათა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ვ. ზარგარიანის ფოტო.

## რამდენიმე სტრიქონით

### ვანი

გაიმართა რაიონის ფრენბურთელთა შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. სარბიელზე გამოვიდა ვაჟთა და ქალთა 24 გუნდი. ვაჟებში გაიმარჯვეს ავტოსატრანსპორტო კონტორის სპორტსმენებმა, ხოლო ქალებში — სოფელ შუამთის წარმომადგენლებმა.

ი. სანადირაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### აბაშა

თითქმის სამ თვეს გასტანა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობამ „ტყავის ბურთის“ პრიზზე. გუნდების რაოდენობა 38-ს აღწევდა. უმცროსი ასაკის ნორჩთა გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აბაშის 1-ლი სკოლისა და მაიდნის გუნდები. გაიმარჯვეს აბაშელებმა. უფროსი ასაკის ჯგუფში წარმატება წილად ხვდათ აბაშის მე-2 სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც ფინალში კვათანის გუნდს სძლიეს.

რ. ჭანტურია.

### თელავი

სოფელ ფშაველში გათამაშდა გ. ჩოხელის სახელობის თასი ფეხბურთში, ფ. ჩიკვილაძის სახელობისა — ქართულ ჭიდაობაში. კალათბურთში შეჯიბრება ჩატარდა ამავე სოფლის ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის ბ. წიქარაძის პრიზზე. სამივე ღონისძიებაში წარმატება ხვდათ სტალინის ქუჩის სპორტსმენებს.

ბ. სამადაშვილი.

### მახარაძე

ზემო ნატანების საშუალო სკოლამ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ზემო ნატანები — ნატანები — შეკვეთილი. ლაშქრობა მიზნად ისახავდა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. კარგი ფიზიკური მონაცემები გამოავლინეს ნ. ღელეყვამ, მ. გახოკიძემ და სხვ.

მ. ბაჯელიძე.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# ნაკლი უნდა გამოსწორდეს

ქუთაისში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადის ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში II ჯგუფის გუნდებს შორის. მონაწილეთა რაოდენობით ტურნირი სარეკორდო აღმოჩნდა: 30 გუნდის შემადგენლობაში 120 ნორჩი მოჭადრაკე იყო.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა, I-II ადგილები ქუთაისისა და ზუგდიდის გუნდებმა გაიყვეს — 20,5-20,5 ქულა. III ადგილზეა ახმეტის რაიონის კოლექტივი — 19.

ქუთაისის ნაკრები შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა, ამიტომ ფინალში ზუგდიდისა და ახმეტის რაიონების გუნდები გავიდნენ.

შეჯიბრება ცუდად იყო ორგანიზებული. ქალაქის განათლების განყოფილების მესვეურთა მონდომების მიუხედავად, ბევრი რამ მოუგვარებელი დარჩა. არ იყო საკმარისი ჭადრაკის კომპლექტები, საჭადრაკო საათები. ქალაქის მდიდარი ისტორიული წარსული და ღირსშესანიშნაობები პატარა სტუმრებს ქუთათურებმა ვერ გააცნეს.

ფაქტია ისიც, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არ გვყავს მოჭადრაკეები, რომლებიც უახლოეს დროში შეძლებენ მოსწავლეთა ნაკრები გუნდის შევსებას. შეჯიბრებამ მხოლოდ ერთოროლა ნიჭიერი მოჭადრაკე (ზუგდიდელი გ. თორია, ქუთაისელები ნ. ჩხაბერიძე და თ. მესხი) გამოავლინა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ჭადრაკს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ალმაცერად უყურებს. შეჯიბრებაზე მწვრთნელად მივლინებულთა უმეტესობას ჭადრაკთან საერთო არაფერი ჰქონდა.

არც შეჯიბრების სისტემა იყო სრულყოფილი. აუცილებელია დამატებითი ეტაპის შემოღება. მაშინ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გვექნება სამი ეტაპი: ზონალური, ნახევარფინალური და ფინალური. ეს ნიჭიერ მოჭადრაკეთა შერჩევისთვის მეტ შესაძლებლობას შეგვიქმნის.

ხ. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

# გათამაშდა 224 პარტია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთ კვირას გაგრძელდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ცხაკაიას, გორის, ზუგდიდისა და ახმეტის ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება საქართველოს მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადის პროგრამით. თითოეულ გუნდში 6 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო.

სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა თავიდან ძირითადად თბილისისა და ქუთაისის გუნდებს შორის გაჩაღდა. ვიდრე მეტოქენი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, თბილისის გუნდმა სძლია აფხაზეთის (4,5:3,5) და გორის (7:1) წარმომადგენლებს, ქუთაისის ნაკრებმა კი — ზუგდიდისა (7,5:0,5) და აჭარის (5:3) მოჭადრაკეებს.

ლიდერთა დაძაბულ მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 5,5:2,5. მერე თბილისელებმა მოუგეს ზუგდიდის (8:0), აჭარის (5,5:2,5), ახმეტისა და ცხაკაიას (ერთნაირი ანგარიშით — 6,5:1,5) გუნდებს. არც ქუთაისელებს დაუკლიათ მონდომება: მათ დაამარცხეს ცხაკაიას (6:2), აჭარის (5,5:2,5), გორისა და ახმეტის (ერთნაირი ანგარიშით — 6,5:1,5) წარმომადგენლები.

I ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა (ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. ბურჭულაძე, ზ. თანდაშვილი, რ. იაკობაშვილი, ი. ეფიმოვი, ზ. სტურუა, ქ. გეგიძე, ნ. გურიელი, მწვრთნელი — ოსტატი თ. გიორგაძე) — 43,5 ქულა.

ჩემპიონს 4 ქულით ჩამორჩა ქუთაისის გუნდი (ა. კლიმჩუკი, გ. მენაბდე, მ. ნიქაბაძე, ს. კვაშალი, პ. მაღლაკელიძე, გ. ბერაძე, ნ. მჭედლიძე, მ. ჭირაქაძე. მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ჩირაძე).

35,5 ქულით III ადგილზეა აჭარის გუნდი (ვ. ბუზგინი, გ. გოგიტიძე, გ. ძიმისტარიშვილი, რ. მარდოიანი, თ. ვაშალომიძე, ზ. გოთუა, მ. ჯავახია, ნ. იმნაძე. მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გ. ჭანტურია).

შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: აფხაზეთი — 26,5 ქულა, ცხაკაია — 25,5, გორი — 23, ახმეტა — 20, ზუგდიდი — 9,5.

დაფების მიხედვით გაიმარჯვეს: პირველ დაფაზე — აზმაიფარაშვილმა — 5,5 ქულა 7-დან, მეორეზე — მენაბდემ — 6, მესამეზე — ნიქაბაძემ — 5,5, მეოთხეზე — იაკობაშვილმა, ვ. გაგუამ (ცხაკაია) — 5-5, მეხუთეზე — ეფიმოვმა, მაღლაკელიძემ — 6-6, მეექვსეზე — სტურუამ — 5,5, მეშვიდეზე — ქ. გეგიძემ — 7, მერვეზე — გურიელმა — 6.

ამ შეჯიბრების სპორტული და შემოქმედებითი შედეგების (გათამაშდა 224 პარტია) გათვალისწინებით დაკომპლექტდა საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები, რომელიც თანატოლთა საკავშირო სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

თ. ნინოშვილი.

# იქნებ ეს ტრადიციის დასაწყისია?

ერთი შეხედვით ამ შეჯიბრებას განსაკუთრებული არაფერი უნდა ეთქვა. ჩატარდა საქართველოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლის პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველოსპორტში. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ამ სკოლაში, ფაქტიურად, თავმოყრილია რესპუბლიკის ყველა მოწინავე ველოსიპედისტი. გამოდის, რომ რუსთავის გზატკეცილზე მოეწყო არაოფიციალური რესპუბლიკური ჩემპიონატი — ჩვენი ველოსპორტის სიძლიერის თავისებური შემოწმება.

ასეც იქნებოდა, თბილისს ყველა მოწინავე სპორტსმენი რომ გამოეყვანა. სამწუხაროდ, შეჯიბრების ვადები უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებისთვის სამზადისის პერიოდს დაემთხვა. ამას გარდა, რამდენიმე ველოსიპედისტი რესპუბლიკის გარეთ მიმდინარე შეჯიბრებაზე აღმოჩნდა წასული. ამან, რა თქმა უნდა, ერთგვარად შეანელა ბრძოლის სიმძაფრე, თუმცა ასპარეზობის შედეგებით კმაყოფილია ყველა, ყველაზე მეტად კი — მწვრთნელები.

შეჯიბრება მართლაც სამაგალითო გამოდგა. ეს პირველ ყოვლისა რუსთავის კომკავშირული აქტივის დამსახურებაა, რომელიც მხარში ამოუდგა ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციას და სპორტსმენებს ყოველგვარი პირობები შეუქმნა ნორმალური ასპარეზობისთვის. კარგად გაართვეს თავი თავიანთს მოვალეობას რუსთავის ავტოინსპექციის მუშაკებმაც.

იასპარეზეს იმ ქალაქებმა, სადაც უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას ჯგუფები აქვს გახსნილი. ასეთი ჯგუფი კი 10 აღმოჩნდა (თბილისში — 3, რუსთავში — 2, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გორსა და მახარაძეში — თითო). სხვათა შორის, გუნდებიც სწორედ ამ ჯგუფების მწვრთნელთა გვარების მიხედვით იწოდებოდნენ. მაგალითად, რუსთაველთა ორი კოლექტივიდან ერთს კეხბას გუნდი ერქვა, მეორეს — ჩერნოუსოვისა. ამან გაახალისა ბრძოლა არა მარტო სპორტსმენებს, არამედ მწვრთნელებს შორისაც.

პირველ დღეს ჩატარდა 25-კილომეტრიანი რბოლა რიგ-რიგი სტარტით. ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა თბილისელი მწვრთნელის ნ. ტრეტიაკოვის გუნდის წევრმა ა. ხახიაურმა — 37.51,2. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სოხუმელი მ. კოშელიანი (ვ. ჟორჟენაძის გუნდი) — 38.30,1, და რუსთაველი ვ. ვარსემაშვილი (ვ. კეხბას გუნდი).

რიგ-რიგი სტარტით რბოლა სანახაობრივად არც ისე ეფექტურია, ვინაიდან ველოსიპედისტები უმთავრესად უჩინარ მეტოქესა და დროს ებრძვიან. სულ სხვა საქმეა გუნდური ან ჯგუფური რბოლა, სადაც ყოველი წარმატება ან წარუმატებლობა ტაქტიკური აზროვნების გარკვეულ კანონებს ემორჩილება. აქ მუდამაა სანახაობრივი ეფექტიც და ემოციური სიმძაფრეც.

გუნდური ასპარეზობის ტრასა 75 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. თბილისის შერეულმა გუნდმა (მსაჯთა კოლეგიის ხებართვით გაერთიანდა ორი ჯგუფი), რომელშიც გამოდიოდნენ დ. კობაიძე, ა. ხახიაური, ა. კოსტეცკი და ვ. ბოგდანოვი, ტაქტიკური ბრძოლის კარგი ცოდნა გამოავლინა და ყველას აჯობა. გამარჯვებული კოლექტივის დროა 1:45.40. II ადგილი ვ. კეხბას აღსაზრდელებს ხვდათ. ისინი თბილისელებს თითქმის 3 წუთით ჩამორჩნენ — 1:48.17. III ადგილზე ისევ რუსთავის (ამჯერად — ა. ჩერნოუსოვისა) გუნდი გავიდა — 1:49.38.

პროგრამის ბოლო სახეობა 100-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა იყო. აქ თავი თბილისელმა ა. ხომუტოვმა (მწვრთნელი ი. გოცირიძე) გამოიჩინა — 1:28.00. II ადგილზეც თბილისელი ველოსიპედისტი ი. რთველიაშვილი გავიდა (მწვრთნელი ნ. ტრეტიაკოვი), III ადგილი კი რუსთაველ ნ. ბურდეინის (მწვრთნელი ა. ჩერნოუსოვი) ერგო.

გუნდური გამარჯვება კეხბას მოწაფეებმა მოიპოვეს. მეორე შედეგი ჩერნოუსოვის ბიჭებს აღმოაჩნდათ. მესამე — ქუთაისელი მწვრთნელის ა. გაბუნაშვილის აღსაზრდელებს. აი, რას ნიშნავს პროგრამის ყველა სახეობაში თანაბრად გამოსვლა: მართალია, ქუთაისელებს არც ერთი საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ, მაგრამ შედეგების დაჯამებისას თბილისელებზე უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ.

იდეალური შეჯიბრება არ არსებობს. შეიძლება ტურნირი საუცხოოდ იყოს მოწყობილი, ბრძოლაც საინტერესოდ ჩატარდეს, მაგრამ ზოგიერთი მონაწილის სუსტი მომზადების გამო საერთო შთაბეჭდილება ერთგვარად გაუფერულდეს. ამ ნაკლისგან არც ეს პირველობა იყო დაზღვეული. ეფექტი გაანელა ბათუმისა და გორის გუნდების უხეირო გამოსვლამ. გორელებს ასე თუ ისე კიდევ ეპატიებათ ეს, ვინაიდან მათ არა აქვთ დიდი ტრადიციები ველოსპორტში, ბათუმში კი სპორტის ეს სახეობა მუდამ პოპულარული იყო, რის გამოც ამ ქალაქის ველოსიპედისტთა ცუდი გამოსვლა თვალში გვხვდება.

შეჯიბრების მონაწილე ათ გუნდს შორის ბოლო ადგილზე მახარაძის კოლექტივი დარჩა, მაგრამ მის გასაკიცხად ენა არავის მოუბრუნდება. პირიქით, მივესალმებით ამ ქალაქის ველოსპორტის მოყვარულთ, რომლებმაც შეძლეს ასეთ დიდ შეჯიბრებაში გუნდის გამოყვანა. მწვრთნელ ე. თავაძეს კი, როგორც ჩანს, ალღო არ ღალატობს, ვინაიდან შერჩეული ჰყავს კარგი მონაცემების მქონე, ცოცხალი ბიჭები. მახარაძელთა მონდომება, ენთუზიაზმი და შრომისმოყვარეობა შეიძლება კარგ ტრადიციას დაედოს საფუძვლად.

ნ. ზუზუშვილი.

# ათი გამარჯვება სტუმრად

თბილისის მძლეოსნებს ამ დღეებში ოდესელებთან საქალაქთაშორისო მატჩი უნდა ჩაეტარებინათ. ოდესას ქალაქის კვალობაზე საკმაოდ ძლიერი კოლექტივი ჰყავს. ამიტომ თბილისელებმა უფრო იოლი გზით სიარული ირჩიეს და ბაქოს მიაშურეს, სადაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალმასკომის პრიზისთვის ბაქოს და ხარკოვის გუნდები ასპარეზობდნენ. თბილისის, სოჭის, გროზნოს, მახაჩყალისა და სუმგაითის მძლეოსნები პირად პირველობაში გამოდიოდნენ.

პროგრამის 26 სახეობაში 23 თბილისელი ასპარეზობდა. მათ 10 პირველი, 3 მეორე და 5 მესამე ადგილი დაისაკუთრეს. მასპინძლებმაც ათი გამარჯვება მოიპოვეს, ექვს სახეობაში კი ყველას ხარკოველმა მძლეოსნებმა აჯობეს.

ორჯერ გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. ყიფიანმა. ქალთა შეჯიბრებაში მან ჯერ 100 მეტრზე რბენა მოიგო (12,2), მერე კი 200 მეტრზეც ყველაზე კარგ შედეგს (25,4) მიაღწია.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯ. ფხაკაძემ შუბი 67,36 მეტრზე ტყორცნა და უახლოესი მეტოქე ა. შიშკინი (ბაქო) 6,58 მეტრით ჩამოიტოვა.

ბირთვის მკვრელმა ვაჟებმა საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს. საბოლოოდ ვ. ჩელიძემ (16,62 მ) მასპინძელ ს. ოსიპოვს სანტიმეტრით აჯობა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სსრ კავშირის ხუთი სპარტაკიადის მონაწილე სპორტის ოსტატი ლ. ტუღუში, რომელიც ახლა VI სპარტაკიადისთვის ემზადება. ბაქოში მან ყველას აჯობა ბადროს მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში — 49,12 მ.

თბილისელი ქალებიდან I ადგილები დაისაკუთრეს, აგრეთვე, შუბის მტყორცნელმა დ. საბაურმა — 48,82 მ (II ადგილზე გასულ თანაგუნდელ ნ. ნოვოსელცოვას მან 1,40 მ მოუგო), სიგრძეზე მხტომელმა ვ. შმაკოვამ (575 სმ), 100 მეტრზე თარჯრბენის მონაწილე ტ. მერკულოვამ (14,7).

შუბის მტყორცნელ ვაჟებში ყველას აჯობა თბილისის ჩემპიონმა ნ. ორფანოვმა (73,20 მ.) II ადგილზეც ორფანოვის თანაგუნდელი რ. კობიაშვილი გავიდა (69 მ). ხარკოველი ვ. კოზულია III ადგილს დასჯერდა (67,90 მ). 400 მეტრზე რბენაში ი. ვაშალომიძემ 49,5 წამი აჩვენა და ფინიშზე ყველას ბევრით მიასწრო.

ქალთა შორის 1500 მეტრზე რბენაში II ადგილი მოიპოვა ნ. ბეზზუბენკოვამ — 4.41,4 (გაიმარჯვა ხარკოველმა ტ. ავდეევამ — 4.38,4).

თბილისელთაგან III საპრიზო ადგილები ხვდათ: ა. შევჩენკოს — 800 მეტრზე რბენაში — 2.23,9 (გაიმარჯვა ხარკოველმა მძლეოსანმა ქალმა ნ. ბორზინენკომ — 2.16,0), ა. ნიკონენკოს — ბირთვის კვრაში — 15,52, ზ. თავბერიძეს — 400 მეტრზე თარჯრბენში — 54,5 (პირველი იყო მასპინძელი ა. კარასიოვი — 52,0), ს. მანეუკოვს — ჰოკით ხტომაში — 440 (ასეთივე შედეგით გაიმარჯვა ბაქოელმა ს. პროკოპენკომ), თ. ჩიტაძეს — 100 მეტრზე რბენაში — 10,7.

სამაგიეროდ, თბილისელები ცუდად გამოვიდნენ 400 მეტრზე მორბენალ ქალთა, 1500 და 5000 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებებში და ზოგიერთ სხვა სახეობებში.

მართალია, თბილისელთა გუნდში არ იყვნენ ვ. სანეევი, ა. მოშიაშვილი, მ. ალიაკრინსკაია, მაგრამ ეს თავის მართლებისთვის არ გამოდგება. უკეთესი იქნება, თუ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში თბილისის კოლექტივი უფრო ძლიერ მეტოქეებს მოძებნის.

ა. სტეპანოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაქო.

# შეხვედრა საინგილოში

ამას წინათ კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივს ესტუმრა წითელი წყაროს რაიონის ქვემო ქედის საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა დელეგაცია.

მეგობრებმა საინტერესო სპორტული შეჯიბრებაც გამართეს. თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის ი. გოგნელაშვილმა ქულებით გაიმარჯვა მასპინძელ ბ. გაჯიშვილთან.

ფრენბურთში უძლიერესნი მასპინძლები აღმოჩნდნენ (2:0), ფეხბურთელთა შეხვედრა კი სტუმრებმა მოიგეს — 3:2.

ი. ჭაჭაშვილი.
სოფ. ალიბეგლო,
კახის რაიონი, აზერბაიჯანის სსრ.



## ანგარიში არ გახსნილა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0.

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა (ქუთათელაძე), ფიფია, აბზიანიძე, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, შელია, ფესტვენიძე, ხერხაძე, ბურკაძე (გაბიჩვაძე).

„პამირი“: კარასიოვი, სალიხოვი, ჩერევჩენკო, კირილენკო, ხრისტიჩი, ციგანკოვი, აზამოვი, როდიონოვი, პეტროსოვი (შენოგინი), კოცრეზოვი, გესი.

მსაჯი ქ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები — 1:1.

მატჩი ფრედ დამთავრდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასპინძლები თავიდანვე გამარჯვებისთვის იყვნენ განწყობილი, და მათი გეგმა 2 ქულის მოპოვებას გულისხმობდა. სტუმრები აშკარად გადაურჩნენ რამდენიმე სახიფათო მომენტს. პირველი 15 წუთის მანძილზე „პამირის“ კარი არაერთხელ იყო გოლის გატანის რეალური საშიშროების წინაშე, მეკარე კარასიოვს მოუხდა ძნელი ბურთების აღება ხერხაძისგან, ქვირიასგან. ამავე დროს, პამირელთა დაცვა მოფიქრებულად, გეგმიანად იცავდა თავს.

შესვენების შემდეგ სტუმრები კონტრიერიშებს სჯერდებოდნენ და უმთავრესად საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდნენ (ამ კონტრშეტევებში თავი გამოიჩინა მარცხენა გარემარბმა გესმა).

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (მინსკი) 2:2, „ზვეზდა“ (პერმი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:1,

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:2,

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ | 11 | 7 | 2 | 2 | 13—6 | 16 |
| „კრ. სოვეტ.“ | 11 | 5 | 4 | 2 | 14—9 | 14 |
| ასკ | 10 | 6 | 1 | 3 | 16—8 | 13 |
| „ლოკომოტ.“ | 10 | 6 | 1 | 3 | 15—7 | 13 |
| „ტავრია“ | 10 | 5 | 3 | 2 | 15—8 | 13 |
| „ზვეზდა“ | 11 | 5 | 3 | 3 | 15—13 | 13 |
| „კუზბასი“ | 11 | 6 | 1 | 4 | 14—15 | 13 |
| „დინამო“ | 10 | 5 | 2 | 3 | 15—11 | 12 |
| „ტორპედო“ | 11 | 5 | 2 | 4 | 12—11 | 12 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 10 | 4 | 3 | 3 | 9—6 | 11 |
| „შინიკი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 11—11 | 11 |
| „ურალმაში“ | 11 | 4 | 2 | 5 | 8—15 | 10 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 10 | 4 | 1 | 5 | 15—16 | 9 |
| „პამირი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 10—13 | 9 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 10 | 3 | 3 | 4 | 8—11 | 9 |
| „სტროიტელი“ | 11 | 2 | 4 | 5 | 13—16 | 8 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკ.) | 10 | 2 | 3 | 5 | 8—10 | 7 |
| „ყუბანი“ | 10 | 1 | 4 | 5 | 10—18 | 6 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 10 | 2 | 1 | 7 | 9—17 | 5 |
| „ტექსტილ.“ | 10 | 0 | 4 | 6 | 8—17 | 4 |

### II ლიგა III ზონა

5 ივნისს გაიმართა მორიგი ტური.

## ბათუმელებმა კვლავ გაიმარჯვეს

ადგილობრივი „დინამოს“ და ვლადიმირის „ტორპედოს“ შეხვედრა ფაქტიურად იყო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა ბრძოლა, რომლის შედეგსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის.

ბათუმელებმა სწორი ორიენტაცია აიღეს და მხოლოდ გამარჯვებისთვის წარმართეს თამაში. ისინი უტევდნენ ენერგიულად, მონდომებით, თუმცა სტუმრების დაცვის დაძლევა არ იყო იოლი. შემდეგ სულ უფრო გამოიკვეთა დინამოელთა უპირატესობა. 22-ე წუთზე ბათუმელთა ცენტრალურმა მცველმა ქორიძემ შესანიშნავი რეიდი შეასრულა და ზუსტად დაარტყა ბურთი მეტოქის კარში —1:0.

შესვენების შემდეგ ცინარიძეს, ქორიძეს, თ. ესებუას შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ „ტორპედოს“ მეკარე ჩისტოვი თავგამოდებით თამაშობდა.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები მიიღეს სტუმართა ცენტრალურმა მცველმა ვ. ივანოვმა და დინამოელმა თ. ესებუამ.

**მ. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## „დილამ“ ლიდერს სძლია

მატჩი, რომელმაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. დებიუტში მასპინძელთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა იმით, რომ ბერიკაშვილმა ზუსტად გამოიყენა ბურჯანაძის გადაცემა და ანგარიში გახსნა.

ვოლოგდის დინამოელებმა მაშინვე სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, „დილის“ მეკარე კირვალიძეს, აგრეთვე მცველებს ბევრი ხიფათის მოგერიება მოუხდათ, იყო შემთხვევები, როცა დინამოელებს ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეძლეს მისი გამოყენება.

მეორე ტაიმში სტუმრები ხშირად უტევდნენ და „დილას“ ისევ მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა კარის სახსნელად. მასპინძლებმა შეასრულეს ამოცანა და მოიგეს უკიდურესად საპასუხისმგებლო, ძნელი მატჩი.

**ი. თევდორაშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

გორი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:1, „ლორი“ (კიროვაკანი), — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1, „ლოკომოტივი“, (სამტრედია) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „დინამო“ (კიროვაბადი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 11 | 8 | 1 | 2 | 22—7 | 17 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 12 | 7 | 3 | 2 | 17—9 | 17 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 11 | 6 | 4 | 1 | 12—4 | 16 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 11 | 6 | 3 | 2 | 15—7 | 15 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 12 | 6 | 2 | 4 | 13—7 | 14 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 12 | 5 | 3 | 4 | 13—10 | 13 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 11 | 5 | 3 | 3 | 9—7 | 13 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 12 | 6 | 0 | 6 | 17—15 | 12 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 11 | 3 | 5 | 3 | 10—9 | 11 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 12 | 2 | 7 | 3 | 11—11 | 11 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 12 | 5 | 1 | 6 | 9—13 | 11 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 11 | 3 | 4 | 4 | 10—9 | 10 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 11 | 3 | 4 | 4 | 8—10 | 10 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 11 | 3 | 4 | 4 | 9—12 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 11 | 3 | 4 | 4 | 8—14 | 10 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 11 | 3 | 3 | 5 | 12—14 | 9 |
| „დილა“ (გორი) | 11 | 3 | 3 | 5 | 10—14 | 9 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 12 | 3 | 2 | 7 | 4—14 | 8 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 12 | 3 | 1 | 8 | 8—17 | 7 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 11 | 2 | 1 | 8 | 7—20 | 5 |

### 13/VI – 7/VII WM-74

## მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანზე

რედაქციაში მრავლად შემოდის მკითხველთა წერილები: გვეკითხებიან როგორ გადმოიცემა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები ტელევიზიით.

სადღეისოდ დაგეგმილია ჩემპიონატის შემდეგი მატჩების გადმოცემა:

**13 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა. **ბრაზილია — იუგოსლავია.** 22 საათსა და 45 წუთზე თბილისის დროით.

**15 ივნისი. პოლონეთი — არგენტინა.**

**18 ივნისი. შოტლანდია — ბრაზილია.**

**19 ივნისი. იტალია — არგენტინა.**

**22 ივნისი. გფრ — გდრ.**

**23 ივნისი. პოლონეთი — იტალია.**

ამას გარდა, ჩემპიონატის მატჩები გადმოიცემა 26, 30 ივნისს და 3 ივლისს. 6 ივლისს ვნახავთ III ადგილისთვის შეხვედრას, ხოლო 7 ივლისს — ფინალურ მატჩს.

### ეომავალში — ინგლისელები

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი მარიო ლობო ზაგალო, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია ამ თამაშის საუკეთესო მცოდნედ, წინასწარმეტყველებს, რომ ინგლისის ნაკრები 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (არგენტინა) პირველ ოთხეულში მოხვდება. ეს დასკვნა ზაგალომ გამოიტანა მას შემდეგ, რაც იუგოსლავიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ნახა. „ინგლისელებმა თითქმის მთლიანად შეცვალეს თავიანთი გუნდის შემადგენლობა და აშკარად ჩანს, რომ შემდეგ ჩემპიონატში წარმატების იმედი აქვთ. ისინი დღესაც რიგიან შედეგებს აღწევენ, ხოლო მომავალში კიდევ უფრო ძლიერად ითამაშებენ“.

### ეკლესია ფეხბურთს ურიგდება

რიო-დე-ჟანეიროს არქიეპისკოპოსმა, კარდინალმა ეუგენიო სალესმა განკარგულება გასცა, რომ კათოლიკურ ეკლესიაში ერთ-ერთი წირვა 5 საათით გადაეტანათ. საქმე ისაა, რომ წირვა ემთხვეოდა 13 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის ტრანსლაციას. ასე, რომ მორწმუნე გულშემატკივრებს აღარ დასჭირდებათ არჩევანი გააკეთონ რელიგიურ მოვალეობასა და გასართობს შორის.

### გამოთხოვების საშუალებას არ აძლევენ

ფეხბურთის მეფე პელე აპირებს მწვანე მინდორს გამოეთხოვოს 13 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე ბრაზილიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს. იგი პირველი დაარტყამს ბურთს და ამ სიმბოლური დარტყმის შემდეგ სამუდამოდ გამოემშვიდობება სპორტს. ფიქრობენ, რომ პელე ცნობილ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელს უვე ზეელერს გადასცემს ძველი მსოფლიო თასის — ნიკეს ქანდაკების პირს და სამაგიეროდ წლევანდელი ჩემპიონატის ჯილდოს ასლს მიიღებს.

რასაკვირველია, ეს ცერემონიალი საკმაოდ ლამაზი და ამაღელვებელი სანახავი იქნება. მაგრამ ყოველივე ამაში პატარა შესწორება შეიტანა კლუბ „სანტოსის“ ვიცე-პრეზიდენტმა მეტანკურმა: „პელე ვალდებულია „სანტოსის“ სახელით ითამაშოს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ვადა კი შემოდგომაზე გადის. ასე რომ, ბოლო დარტყმა ცოტა ნაადრევია“.



### უფერული შედეგები

ურუგვაის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ სხვებზე მეტი ითამაშა, ხანგრძლივი ტურნე მოაწყო ლათინურ ამერიკაში, აზიასა და ავსტრალიაში. ტურნეს შედეგები ასეთია: 5 მოგება, 3 ფრე და 2 წაგება. ბურთების შეფარდებაა 14:8.

ურუგვაიში ამ ტურნეთი აშკარად უკმაყოფილო არიან. მეტოქენი ძლიერები არ ყოფილან, გუნდმაც ერთობ უფერულად ითამაშა. ამიტომ მიმომხილველებს მხოლოდ უცხოეთში მოთამაშე ვარსკვლავების იმედი აქვთ, რომლებიც ამ ტურნეში არ მონაწილეობდნენ.

### ორი იმედი

შვეციის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ იმედს ამყარებს ორ თავდამსხმელზე, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში ბევრისთვის ნამდვილ გამოცანად იქცევიან.

**28 წლის მეტისმეტად სწრაფი და შედეგიანი მარცხენა გარემარბი სანდბერგი უკვე ერთი სეზონია „ფკ კაიზერს ლაუტერნში“ (გფრ) თამაშობს. შესარჩევ მატჩებში მან 8 ბურთი გაიტანა ავსტრიელთა კარში. სანდბერგს 8 მატჩი აქვს ნათამაშევი ეროვნულ ნაკრებში, წინა მსოფლიო ჩემპიონატში კი არ მონაწილეობდა.**

**ნამდვილ აღმოჩენად მიაჩნიათ 28 წლის ედსტრიომი, რომელსაც საბჭოთა გულშემატკივრებიც იცნობენ. მან 12 მატჩი ითამაშა ნაკრებში და ახლა „ეინდჰოვენში“ (ჰოლანდია) გამოდის. იგი 192 სმ სიმაღლისაა, თავით თამაშის დიდი სპეციალისტია და სათანადო მეტსახელიც შეარქვეს — „ოქროსთავა“.**

## ფრე—1:1

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ საქართველოში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ მოძმე უზბეკეთის ნორჩი ფეხბურთელები, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართეს საქართველოში.

სტუმრებმა განმეორებითი მატჩი ჩაატარეს ბათუმში ადგილობრივ თანატოლებთან და ისიც ფრედ დაამთავრეს, ამჯერად ანგარიშით 1:1.

უზბეკეთის მოსწავლეებმა დაათვალიერეს აჭარის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, ლენინის სახელობის მოსწავლეთა და პიონერთა პარკში, რევოლუციის მუზეუმში და კმაყოფილი დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში.

## ფინალისტთა მონაწილეობით

ბრიუსელში ამას წინათ გამართულ მატჩში ბელგიის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა შოტლანდიის ეროვნული გუნდი. ანგარიში ბელგიელმა ჰენროტეიმ გახსნა, მაგრამ შესვენებამდე ჯონსტონმა თანაფარდობა აღადგინა. თამაში მეორე ტაიმშიც ულიერესად მწვავე და საინტერესო იყო. შეხვედრის მიწურულს სტუმრები 11-მეტრიანი დარტყმით დაჯარიმდნენ. პენალტი ზუსტად გამოიყენა ლამბერმა.

ბელგრადში უდიდესი ინტერესი გამოიწვია იუგოსლავიის ნაკრების შეხვედრამ ინგლისის ეროვნულ გუნდთან — „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე 80 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ანგარიში ინგლისელმა ჩენონმა გახსნა მე-7 წუთზე. მერე კი პეტკოვიჩმა (23-ე წუთზე) და ობლაკმა (52) ორჯერ აიღეს სტუმართა კარი. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კიგანმა ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

როტერდამში ჰოლანდიის ნაკრებმაც ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ. მან ფრედ ითამაშა რუმინეთის ნაკრებთან — 0:0. ჰოლანდიელთა შორის არ იყო მსუბუქად დაშავებული კრუიფი.

ჰოლანდიის მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა ჰაიტის ეროვნული გუნდი.

## უნგრელთა წარმატება

**ბუდაპეშტი, 5 ივნისი.** უნგრეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა — განმეორებით ფინალურ მატჩში დამაჯერებლად სძლია გდრ-ის გუნდს — 4:0.

ამ კოლექტივთა პირველი შეხვედრა გდრ-ში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. როგორც ხედავთ, ორი ფინალური მატჩის საერთო ანგარიშია 6:3 უნგრელების სასარგებლოდ. მათ პირველად მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონის წოდება.

## კიევლები განაწილდა

შიაულიაიში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური.

ბოლოსწინა შეხვედრაში უკვე ჩემპიონის რანგში, კიევის „სპარტაკმა“ იოლად სძლია ბაქოს სპორტნაწარმის ფაბრიკის გუნდს — 31:17 (19:8), მაგრამ ბოლო შეხვედრა ამ დაუმარცხებელმა გუნდმა კინაღამ წააგო, როცა კაუნასის „ჟალგირისს“ შეხვდა. კაუნასელებმა პირველი ტაიმი მოუგეს ჩემპიონებს (10:8), მაგრამ შესვენების შემდეგ ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და მინიმალური სხვაობით წააგეს — 18:19.

კაუნასელთა ძირითადმა მეტოქემ ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლაში — ბაქოელთა კოლექტივმა ბოლო შეხვედრაში დაამარცხა მინსკის „ტექნოლოგი“ ანგარიშით 26:17 (13:7) და იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც „ჟალგირისმა“, მაგრამ, ვინაიდან პირადი შეხვედრების უკეთესი ბალანსი ჰქონდა, ვერცხლის მედლებიც მას დარჩა. ბაქოელებმა მეხუთედ მოიპოვეს II ადგილი.

უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა მინსკის „ტექნოლოგი“, რომლის ადგილს ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი დაიკავებს. სხვათა შორის, ეს უკრაინელთა მეთორე კოლექტივია უმაღლეს ლიგაში.

გაგაცნობთ ჩემპიონატის ბოლო ორი დღის შედეგებს: უპი (სვერდლოვსკი) — „ტექნოლოგი“ 25:18 (13:9), „ოსვიტა“ (ჩერკასი) — № 3 სახლსაშენი კომბინატი (კიევი) 12:12 (6:3), „პეტროვრადეცი“ (ლენინგრადი) — „ისკოჟი“ (კიშინიოვი) 14:10 (7:3), „ჟალგირისი“ — „ლუჩი“ (მოსკოვი) 15:10 (8:4), უპი — № 3 სახლსაშენი კომბინატი 17:12 (6:7), „ლუჩი“ — „პეტროვრადეცი“ 20:15 (11:7), „ისკოჟი“ — „ოსვიტა“ 23:19 (15:7).

გათამაშების საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 18 | 18 | 0 | 0 | 486:201 | 36 |
| სპორტნაწარმის ფაბრიკა | 18 | 12 | 1 | 5 | 309:293 | 25 |
| „ჟალგირ.“ | 18 | 12 | 1 | 5 | 298:258 | 25 |
| „ლუჩი“ | 18 | 10 | 2 | 6 | 287:284 | 22 |
| უპი | 18 | 10 | 0 | 8 | 266:270 | 20 |
| „ისკოჟი“ | 18 | 6 | 2 | 10 | 299:324 | 14 |
| № 3 სახლსაშენი კომბინატი | 18 | 5 | 3 | 10 | 248:297 | 13 |
| „პეტროვ.“ | 18 | 5 | 1 | 12 | 231:307 | 11 |
| „ოსვიტა“ | 18 | 3 | 3 | 12 | 243:319 | 9 |
| „ტექნოლ.“ | 18 | 2 | 1 | 15 | 264:378 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დისციპლინაც მთავარია




როგორც ამას წინათ „უემბლიზე" ვნახეთ, არგენტინელებს შეუძლიათ თამაში და საკმაოდ კარგადაც. თუ გუნდს ფეხბურთის განვითარების თანამედროვე დონეზე რაიმე დიდი მიზნები აქვს დასახული, მან ყველაფერთან ერთად დისციპლინის განმტკიცებისთვისაც უნდა იზრუნოს, რითაც არგენტინელები აქამდე არ გამოირჩეოდნენ. ახლა ისინი სწორედ დისციპლინის განმტკიცებისთვის მუშაობენ და მომავალში შეიძლება დიდ წარმატებასაც მიაღწიონ, მაგრამ წლეულს ვერ შეძლებენ ამას.

წლეულს მათი მიზანია დაუმტკიცონ კრიტიკოსებს, რომ თავიანთი გზა ნაპოვნი აქვთ და უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელები არიან, რაც ამ გუნდზე წარსულში მუდამ როდი ითქმოდა. და კიდევ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ღირსნი არიან უმასპინძლონ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატს.

არგენტინა, როგორც ამ შეჯიბრების მასპინძელი, დიდ მსჯელობასა და დისკუსიებს იწვევს, ისევე როგორც ოთხი წლის წინათ მექსიკა იწვევდა. მაშინ ყველა ეჭვისა და შიშის მიზეზი იყო მექსიკის მაღალი მდებარეობა, პაპანაქება სიცხე და პოლიციელთა უხეშობა, ახლა კი არგენტინელი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების უდისციპლინობისა ეშინიათ.

ნაკრების მცველმა ენრიკე ვოლფმა, რომელიც ინგლისში სათადარიგო მოთამაშედ იყო ჩამოსული, თქვა: „ბოლო რვა წლის განმავლობაში არგენტინელი მოთამაშის ინტელექტი შეიცვალა. ახლა იგი უფრო წყნარი და თავშეკავებულია, ამის შედეგად კი უფრო წარმატებითაც თამაშობს".

ბოლო რვა წელიწადში იგი მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინელთა გუნდის ბოლო გამოსვლის შემდგომ პერიოდს გულისხმობს. ის ბოლო მატჩი კი „უემბლიზე" ჩატარდა, როცა არგენტინელები მეოთხედფინალში ინგლისელებმა დაამარცხეს (1:0) და სტუმართა კაპიტანი რატინი მსაჯმა კამათისთვის მინდვრიდან გააძევა.

ვოლფმა, რომელმაც ნაკრებში 30-ზე მეტი მატჩი ითამაშა და ამ გუნდის კაპიტანიც იყო, დასძინა: „არგენტინელი ფეხბურთელები მინდორზე მომხდარი უსამართლობის გამო ახლა ისე გააფთრებით აღარ იძლევიან პასუხს, როგორც უწინ. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ ისინი მსოფლიოს ნებისმიერი სხვა გუნდის ფეხბურთელებისგან არაფრით გამოირჩევიან".

ვოლფმა პასუხი გასცა იმ შენიშვნებსაც, რომ არგენტინის ნაკრების წევრები უწინ უფრო ინდივიდუალურად თამაშობდნენ და ნაკლებად მიმართავდნენ კოლექტიურ ბრძოლას.

— ამჯერად ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭირო იყო, — თქვა მან. — ახლანდელმა ძირითადმა ეროვნულმა ნაკრებმა დიდი შრომა გასწია. თქვენ დაინახავთ ამის შედეგს.

ვოლფის ენთუზიაზმსა და ოპტიმიზმს არ იზიარებენ არგენტინაში, სადაც ხალხი გამძღარია „დაქირავებული" ვარსკვლავების ყურებით.

არგენტინელი მოთამაშეები, ისევე როგორც მათი ჰოლანდიელი კოლეგები, ხშირად უარს ამბობენ ქვეყნის ნაკრებ გუნდში თამაშზე, სანამ გასამრჯელოს არ მოუმატებენ. აეროპორტში, სადაც გუნდი ევროპაში მიმავალ თვითმფრინავში ჩასაჯდომად ემზადებოდა, პატარა ჩხუბიც კი მოუვიდათ ამის გამო.

არსებობს მეორე პრობლემაც: არგენტინელთა მეტოქეები მეოთხე ჯგუფში იტალიის, პოლონეთისა და ჰაიტის გუნდები არიან. იტალია და პოლონეთი დღეს ევროპის საუკეთესო გუნდების რიცხვში შედიან და ევროპის ერთადერთი გუნდი, რომელსაც არგენტინელები ევროპაში ჩამოსვლამდე შეხვდნენ, რუმინეთის ნაკრები იყო.

კიდევ ერთი პრობლემა ისაა (თუმცა იგი ბევრ სხვა ქვეყანასაც აწუხებს), რომ გუნდის მთავარ ძალას წარმოადგენენ „გადასახლებული" ვარსკვლავები, რომლებიც უცხოურ კლუბებში გამოდიან.

ესპანეთში თამაშობენ მეკარე დანიელ კარნევალი („ლას-პალმასი"), მცველი რამონ ერედია და თავდამსხმელი რუბენ აიალა (ორივე — „ატლეტიკო", მადრიდი); საფრანგეთში — მცველი ანჯელ ბარგასი („ნანტი"), პორტუგალიაში — ექტორ იასალდე („სპორტინგი", ლისაბონი), და ბრაზილიაში — ვეტერანი მცველი რობერტო პერფიუმო („კრუზეირო").

არგენტინელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს რუმინეთის ნაკრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიდან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. გუნდს თავდამსხმელმა რენე ჰაუსმანმა უშველა. იგი მეორე ტაიმში გავიდა მინდორზე და თანაკლუბელ ბრინდიზისთან (ორივე „ჰურაკანში" თამაშობს) ერთად შეძლო რუმინელთა დაცვის გარღვევა.

„უემბლიზე" ყველაზე ძლიერად ითამაშა აიალამ, რომელიც რამდენიმე კვირით ადრე მინდვრიდან გააძევეს გლაზგოს „სელტიკთან" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში.

შესარჩევ შეხვედრებში არგენტინამ ორჯერ დაამარცხა ბოლივია, ერთხელ — პარაგვაი. ამის შემდეგ ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნეს 40 წლის ვლადისლაო კაპი, რომელიც თავის დროზე თვითონ თამაშობდა ნაკრებში ნახევარმცველად. იგი პოლონელია, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინის გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა.

გუნდში კაპმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა და ერთგვარი სიახლეც შეიტანა, მაგრამ თამაშის სტილი ისევ არგენტინული რჩება: მოკლე, სამკუთხედი გადაცემებით თამაში, რასაც კარში ძალიან სწრაფი დარტყმა მოჰყვება ხოლმე.

ერს, რომელმაც ფეხბურთს აჩუქა ისეთი სახელები, როგორიცაა ალფრედო დი სტეფანო და ანჯელ ლაბრუნა (ისინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში შედიან), ბევრი რამ შეუძლია. ოთხი წლის შემდეგ შინ ისინი შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტებიც გახდნენ, მაგრამ წლეულს ჰოლანდიის ნაკრებთან მათმა ამასწინანდელმა დიდმა დამარცხებამ (1:4) ნათლად დაგვანახვა არგენტინელთა სისუსტენი. ამ ჩემპიონატში ისინი ალბათ IV ჯგუფს ვერ გასცდებიან.

ტერი ბაშელი.

(„მორნინგ სტარი", ლონდონი).

• • •




## გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: დანიელ კარნევალი („ლას-პალმასი", ესპანეთი), რუბენ გლარია („სან-ლორენცო"), რობერტო პერფიუმო („კრუზეირო", ბრაზილია), ფრანსისკო სა („ინდეპენდიენტე"), ანჯელ ბარგასი („ნანტი", საფრანგეთი), რობერტო ტელხი („სან-ლორენცო"), მიგელ ბრინდიზი („ჰურაკანი"), კარლოს სკეო („რასინგ კლუბი"), აგუსტინ ბალბუენა („ინდეპენდიენტე"), მარიო კემპესი („როსარიო სენტრალი"), რუბენ აიალა („ატლეტიკო", მადრიდი).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარეები: მიგელ სანტორო („ინდეპენდიენტე"), უბალდო ფილოლი („რივერ პლეიტი"); მცველები: ენრიკე ვოლფი („რივერ პლეიტი"), ნესტორ ტონიერი („ესტუდიანტესი"), ხორხე კარასკოსა („ჰურაკანი"); ნახევარმცველები: ალდო პოი („როსარიო სენტრალი"), რამონ ერედია („ატლეტიკო", მადრიდი), ენრიკე ჩასარეტა („სან-ლორენცო"); თავდამსხმელები: რენე ჰაუსმანი („ჰურაკანი"), ექტორ იასალდე („სპორტინგი", ლისაბონი), როკე ავალაი („ჰურაკანი").




## თოვლი — მთელი წლის მანძილზე

ავსტრია ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა „უცხოური ტურიზმის" სფეროში. ამას ხელს უწყობს ქვეყნის ლანდშაფტების უჩვეულო სილამაზე, ისტორიული ძეგლების სიუხვე, სამკურნალო წყაროები, კურორტები, ზამთრის სპორტის ცენტრები.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სხვადასხვა ქვეყნის სათხილამურეთა სავარჯიშო ადგილი — კაპრუნი. საბაგირო გზას სპორტსმენები და მოყვარულები აჰყავს 8204 მეტრ სიმაღლეზე, სადაც მთელი წლის მანძილზე თოვლი დევს.

ა. ურბანის ფოტო (საკდეს).

• •



## ალიასკაზე მდებარე მწვერვალის დასალაშქრავად

პოლონელი მთამსვლელები ვარჯიშობენ ალიასკაზე გამგზავრების წინ. მათ განზრახული აქვთ დალაშქრონ მწვერვალი მაკ-კინლი (6181 მ ზღვის დონიდან).

ცაფ — საკდესის ფოტო.

## სიდიაკი მეორეა

მინსკში გრძელდება მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი. ესპადრონისტთა შეჯიბრების გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ნაზლიმოვი (მოსკოვის ოლქი) და ოლიმპიური ჩემპიონი, ადგილობრივი სპორტსმენი ვ. სიდიაკი. ნაზლიმოვმა გაიმარჯვა (5:3) და ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიხვეჭა. II ადგილზე გავიდა სიდიაკი, ხოლო III — მოსკოველი ვ. კროვოპუსკოვი. წარმატებით იბრძოდა თბილისელი ა. გაგულაშვილი, რომელიც ფინალში მოხვდა, მაგრამ სახელოვან მოფარიკავეებთან ჭიდილში პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ესპადრონისტთა გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს არმიელებმა, რომლებსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგიათ. გუნდში გამოდიოდნენ სიდიაკი, ნაზლიმოვი, კროვოპუსკოვი, ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი და მოსკოველი ა. ილიუკი.

დაშნით მოფარიკავეთა შორის პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ტალინელი ბ. იოფე, რომელმაც ფინალში ოთხი ბრძოლა მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში მან სძლია შარშანდელ ჩემპიონს მონსკელ ი. ვალეტოვს — 5:3. ვერცხლის მედალი ხვდა კიეველ ვეტერანს ი. ვიტებსკის, ხოლო ბრინჯაოსი — ვორონეჟელ ს. მატვეევს.

## „რძის რბოლის" ტრასაზე

დიდი ბრიტანეთის გზებზე მიმდინარეობსველოსიპედისტთა ტრადიციული მრავალდღიანი „რძის რბოლა". ეს შეჯიბრება ყოველწლიურად ტარდება, მაგრამ წლევანდელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს: მასში ხომ მსოფლიოს, შეიძლება ითქვას, უძლიერესი მოყვარული მრბოლელი, მშვიდობის ველორბოლაში სამგზის გამარჯვებული, პოლონელი რიშარდ შურკოვსკი მონაწილეობს.

უკვე გაიმართა შვიდი ეტაპი. VII ეტაპს სკარბოროში ჰქონდა ფინიში. ხაზთან ერთად მიიჭრნენ დასავლეთგერმანელი კლაუს-პეტერ ტალერი და შურკოვსკი, მაგრამ ამ უკანასკნელმა რაღაც მეათედებით წააგო და II ადგილს დასჯერდა. ორივეს ერთნაირი დრო აქვს — 1:11.22.

III ადგილზეა პოლონელი ს. ბონიეცკი — 1:11.23.

7 ეტაპის შემდეგ ლიდერობენ: ჯ. ელინგი (ჰოლანდია) — 22:13.46; ლ. ნადოლნი (პოლონეთი) — 22:13.54; შურკოვსკი — 22:13.58.

(საკ. ინფ.).

## „როლან გაროს" კორტებზე

პარიზი, 7 ივნისი. ადგილობრივ „როლან გაროს" კორტებზე დაიწყო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი, რომელიც გრუნტიან მოედნებზე მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად ითვლება. საფრანგეთის დედაქალაქში სამყაროს უძლიერეს ჩოგბურთელთა უმრავლესობამ მოიყარა თავი.

პირველ წრეში წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ო. მოროზოვამ, რომელმაც რ. ტომანოვას (ჩეხოსლოვაკია) სძლია — 6:4, 6:2. სამაგიეროდ, ხელი მოეცარა მოსკოველ ა. ვოლკოვს. მან ჩ. პასარელთან (აშშ) წააგო — 6:7, 6:7.

სტარტზე სენსაციაც მოხდა: მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო პროფესიულმა ჩოგბურთელმა, ამერიკელმა ს. სმითმა იაპონელ ჯ. კამივაცუმისთან წააგო — 6:3, 4:6, 6:8.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სსრ კავშირის პირველობა




9 ივნისს
„ლოკომოტივი" (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვი)
დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04617